

**ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები**

საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება # \_\_\_\_\_, [წელი] წლის [რიცხვი, თვე]

<b>კრედიტის საპროცენტო განაკვეთი</b>	
კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	
კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	
კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი საპროცენტო განაკვეთი უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში
<b>კრედიტის ფინანსური ხარჯები</b>	
ყოველთვიური შენატანის ოდენობა:	
ვადის ბოლოს შენატანი:	
შენატანები შეიცვლება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.	
კრედიტის დამტკიცების/გაცემის საკომისიო:	
სხვა ხარჯ(ებ)ი:	
<b>სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია</b>	
საკრედიტო ხაზის მთლიანი თანხის ოდენობა:	
კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:	
საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადა:	
საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული კლიენტის ვალდებულებები.
კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო:	
კრედიტის საშელავათო პერიოდში დაფარვის რიგითობა:	კრედიტზე საშელავათო პერიოდის განმავლობაში კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში იფარება ხარჯები, პირგასამტეხლო, საკომისიო თანხები, შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის თანხა. <i>[მიეთითება თუ კრედიტი ითვალისწინებს საშელავათო პერიოდს]</i>
კრედიტის თანხის ან/და საპროცენტო სარგებლის გადახდის ვადაგადაცილების პირგასამტეხლო:	

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების აღნიშნული ვადები არ მოქმედებს თუ

ცვლილება: - განპირობებულია ინდექსის განაკვეთის ცვლილებით [ამოსაშლელია თუ საპროცენტო კრედიტი რომელიმე პერიოდში არ არის ინდექსზე მიბმული] ; ან - ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ; ან - არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას.

ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთიანი სესხი (გარდა ინფლაციის იდექსზე მიბმულისა) მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! საჯარო ინდექსის ოდენობის ცვლილებამ შესაძლოა შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს. ინდექსის ოდენობის შესაძლო 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: % . [ამოსაშლელია თუ საპროცენტო კრედიტი რომელიმე პერიოდში არ არის ინდექსზე მიბმული]

უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს. ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში, წინამდებარე კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს %-ს.

კლიენტს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. ასევე, დისტანციური მომსახურების ცენტრში, სატელეფონო ზარის საშუალებით: 032 2 55 55 00

კლიენტის ხელმოწერა/ -----

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდსა - [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე - 032 2 406 406

**საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება #**  
**გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების დანართი/შემადგენელი ხელშეკრულება**

, საქართველო,

[წელი] წლის [რიცხვი, თვე]

**1. ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:**

**1.1. ბანკი:**

1.1.1. საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკი"
1.1.2. იურიდიული/საკორესპონდენტო მისამართი:	
1.1.3. საიდენტიფიკაციო კოდი:	203828304
1.1.4. ელ-ფოსტა:	
1.1.5. ტელეფონი:	
1.1.6. წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.1.7. წარმომადგენლის თანამდებობა:	

**1.2. კლიენტი:**

1.2.1. სახელი და გვარი/სახელწოდება:	
1.2.2. პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
1.2.3. საკორესპონდენტო მისამართი:	
1.2.4. ტელეფონი:	
1.2.5. ელ-ფოსტა:	
1.2.6. წარმომადგენელი (ხელმოწერი/თანხმობის განმცხადებელი პირი)	
1.2.7. სახელი, გვარი, პირადი ნომერი:	
1.2.8. წარმომადგენლის თანამდებობა:	

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების და საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების 2.2. პუნქტში მითითებული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე და პირობების შესაბამისად ბანკი უფლებამოსილია (და არა ვალდებული) კლიენტის მოთხოვნისას გასცეს საკრედიტო ხაზის მოცულობის ფარგლებში გასცეს არაერთჯერადად კრედიტი, ხოლო კლიენტი იღებს ვალდებულებას სრულად დაფაროს ათვისებული კრედიტის თანხა, გადაიხადოს კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები და სრულად და ჯეროვნად შესრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

**2.2 გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება:**

2.2.1	ნომერი:	
2.2.2	თარიღი:	

**2.3 კრედიტის ძირითადი პირობები შემდეგია:**

2.3.1. საკრედიტო ხაზის მოცულობა და ვალუტა:	თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა
2.3.2. საკრედიტო ხაზის მიზნობრიობა:	
2.3.3. საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადა:	
2.3.4. საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე კლიენტის ვალდებულებები.
2.3.5. საკრედიტო ხაზის ათვისების ვადა (პერიოდი რომლის განმავლობაშიც კლიენტმა შეიძლება ისარგებლოს კრედიტით ხელშეკრულებაში მოცემული პირობებით):	თუ ბანკი სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
2.3.6. საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	
2.3.7. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	

ბანკი/\_\_\_\_\_/

კლიენტი/\_\_\_\_\_/

2.3.8. კრედიტის თანხის გაცემის წესი:	კრედიტის თანხა ან მისი ნებისმიერი ნაწილი გაიცემა ბანკში გახსნილ კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.
2.3.9. კრედიტის თანხის და საპროცენტო სარგებლის დაფარვის წესი:	თანდართული გრაფიკის შესაბამისად. თანდართული გრაფიკის შესაბამისად. თანდართული გრაფიკის შესაბამისად. ამასთან, გრაფიკში მოცემული მონაცემები მოქმედი იქნება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.
2.3.10. კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:	მთლიანი გადასახდელი თანხის ოდენობა შეიცვლება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.
2.3.11. საკომისიო:	
(i) საკრედიტო ხაზის დამტკიცების/გაცემის საკომისიო:	
(ii) სხვა სახის საკომისიო(ები):	
2.3.12. პირგასამტებლო:	
(i) კრედიტის თანხის ან/და პროცენტის გადახდის ვადაგადაცილების პირგასამტებლო:	
(ii) კრედიტის თანხის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტებლო:	
(iii) სხვა სახის პირგასამტებლო(ები):	
2.3.13. ფინანსური ხარჯები და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	
(i) ყოველთვიურად გადასახდელი თანხის (შენატანის) ოდენობა:	შენატანები შეიცვლება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.
(ii) ვადის ბოლოს შენატანი:	შენატანი შეიცვლება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.
(iii) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	
(iv) ხელშეკრულების 2.3.1. ქვეპუნქტში მითითებული კრედიტის თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი თანხა:	თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა)
(v) სხვა ხარჯები:	
2.3.14. უზრუნველყოფა:	გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებიდან და მის ფარგლებში დადებული გარიგებიდან გამომდინარე კლიენტის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული უზრუნველყოფის საშუალებები.
2.3.15. დამატებითი პირობები:	
2.3.16. საკრედიტო შუამავალი:	

**3 მხარეთა უფლებები და მოვალეობები**

3.1 **დაფარვის პირობები და რიგითობა.** კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის თანმიმდევრობა (მათ შორის კრედიტზე საშეღავათო პერიოდში კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში) შემდეგია: პირველ რიგში იფარება ხარჯები (მათ შორის და არამართო საარბიტრაჟო, სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა), შემდგომ პირგასამტებლო, საკომისიო თანხები, შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის თანხა. ამასთან, აღნიშნული

რიგითობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და **კლიენტის** წინასწარი თანხმობის გარეშე, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს, გარდა ამავე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

3.2 **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე **ბანკმა**, საკუთარი არჩევანით, არ განახორციელოს წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებების დაფარვა, თუ **კლიენტს ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა). **კლიენტის** მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებით წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიფარება/შემცირდება **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ამ **ხელშეკრულებისაგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები.

3.3 **ბანკის** წინაშე **კლიენტის** ერთდროულად ერთზე მეტი ვადამოსული ფულადი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის ანგარიშზე** განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული (მათ შორის ვადაგადაცილებული) ვალდებულების სრულად შესასრულებლად, ყოველ ჯერზე, ასეთი გარემოების დადგომის დღეს (და არა წინასწარ), სამუშაო დღეებში 17:30 სთ-მდე, ხოლო შაბათს 13:30 სთ-მდე, **კლიენტს** უფლება აქვს, **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, **ბანკის** ფილიალისთვის, სერვის ცენტრითვის მიმართვის გზით, ასევე **ბანკის** ინტერნეტ ბანკის, სატელეფონო ცენტრის საშუალებით (ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირის და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ **ბანკის** ფილიალისთვის, სერვის ცენტრითვის მიმართვა და არჩევანის დაფიქსირება) აირჩიოს ვალდებულებების შესრულების (საკრედიტო პროდუქტების დაფარვის) რიგითობა. თუ აღნიშნულ ვადაში და წესით **კლიენტი** არ ისარგებლებს მისთვის მინიჭებული ზემოაღნიშნული უფლებით, **კლიენტის** ფულადი ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: (I) საკრედიტო ბარათ(ებ)ი, ოვერდრაფტ(ებ)ი, არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (II) მხოლოდ გირავნობით (გარდა ფულადი სახსრების/დეპოზიტის) უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (III) მხოლოდ თავდებობით ან/და საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (IV) უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (V) ფულადი სახსრებით/დეპოზიტით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (VI) სხვა სახის კრედიტ(ებ)ი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, **ბანკი** უფლებამოსილია თავად განსაზღვროს **კლიენტის** ფულადი ვალდებულებათა შესრულების რიგითობა.

3.4 **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **კლიენტის** ნებისმიერი ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით **ბანკმა** დააკავოს **კრედიტის (ოვერდრაფტის) თანხიდან** ან/და ჩამოწეროს **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან**, მათ შორის სადეპოზიტო **ანგარიშიდან**, (თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის მომენტისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან**) და დაფაროს ფულადი ვალდებულებები ან/და უზრუნველყოს მათი გადარიცხვა დამზღვევისათვის. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **კრედიტის თანხა** სრულად ათვისებულია **კლიენტის** მიერ ან/და არ არის საკმარისი პრემიის დასაფარად, **ბანკი** უფლებამოსილია გადასახდელი პრემია დაფაროს **კრედიტის** მოცულობის ცალმხრივად გაზრდის ან **ანგარიშზე ოვერდრაფტის** დაშვების ხარჯზე.

3.5 **მხარეები** ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, **კრედიტის** სრულად დასაფარად საკმარისი **კლიენტის** ფულადი სახსრების **ბანკში** არსებობის ან/ განთავსების შემთხვევაში არ მოხდება **კრედიტის** წინსწრებით (ვადაზე ადრე) ავტომატურად დაფარვა და **კლიენტის** იცინიატივით **კრედიტის** სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიმართვის საფუძველზე.

3.6 **პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვის გაგრძელება**. **ხელშეკრულების** შეწყვეტის (როგორც ვადამდე, ისე **ხელშეკრულების** ვადის გასვლის გამო) შემთხვევაში, **საპროცენტო სარგებლის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად და **კლიენტი** ვალდებული იქნება სხვა გადასახდელზეთან ერთად **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ნებაყოფლობით ან/და იძულებით აღსრულების წესით სრულად დაფარვის დროს, **ბანკის** წინაშე ასევე დაფაროს **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდგომ დარიცხული **პირგასამტეხლოს** და **საპროცენტო სარგებლის** თანხები.

3.7 თუ **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე უზრუნველყოფის საგანი გადმოეცემა **ბანკს**, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციამდე **პროცენტის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მთლიან დავალიანების თანხაზე, დავალიანების სრულად დაფარვამდე. ამასთან, **ბანკის** მიერ მიღებული უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, შესაბამისი წილით შემცირდება დავალიანება, ხოლო დანარჩენი დავალიანებაზე, კვლავ გაგრძელდება/ შენარჩუნდება პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა.

3.8 **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, უზრუნველყოფის საგნის **ბანკისთვის** გადაცემის (ნებაყოფლობით ან გადახდევინების მიქცევის გზით) მიუხედავად, უზრუნველყოფის საგნის გასხვისებასა და ფულადი ვალდებულებების სრულად დაფარვამდე, გაგრძელდეს/ შენარჩუნდეს **პროცენტის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა დავალიანების სრულ ოდენობაზე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

ბანკი/\_\_\_\_\_

კლიენტი/\_\_\_\_\_

3.9 მოთხოვნის წარდგენის და გადახდევინების მიქცევისას ქონების არჩევითობა. კლიენტი აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს ვალდებულებების დაფარვა კლიენტის ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან იმგვარად, რომ თავდაპირველად მოთხოვნის წარდგენა არ მოხდეს **უზრუნველყოფის საშუალების** საგნ(ებ)ის ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი პირის მიმართ. ასეთი ქმედება არ უნდა ჩაითვალოს ბანკის მხრიდან უზრუნველყოფის საგანზე ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებაზე** უარის თქმად და **ბანკს** უნარჩუნდება უფლება, ნებისმიერ დროს წარადგინოს მოთხოვნა, დაიწყოს გადახდევინების მიქცევა უზრუნველყოფის საგანზე ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პირ(ებ)ის ქონებაზე.

3.10 გადახდევინების მიქცევისას კლიენტის რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ვადამოსული დავალიანების გადასახდელების რიგითობა და თანმიმდევრობა.

3.11 თუ უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის ღირებულება ან/და უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის რეალიზაციიდან ან/და გასხვისებიდან მიღებული თანხა საკმარისი არ არის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად დასაფარად (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად კრედიტის ან/და კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების თანხების გადახდისთვის): (ა) კლიენტი დარჩება პასუხისმგებელი დარჩენილი ფულადი ვალდებულებების ნაშთზე (მათ გადახდაზე); (ბ) ბანკი უფლებამოსილია, გადახდევინება მიაქციოს კლიენტის ნებისმიერ სხვა ქონებაზე. იგივე წესი ვრცელდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში, რაც გულისხმობს, რომ თუ აუქციონზე გასაყიდი უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის ყიდვის ფასი იქნება **ბანკის** მოთხოვნაზე ნაკლები, უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის რეალიზაციით მიღებული თანხით **ბანკის** მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ **ბანკის** მოთხოვნა მაინც ჩაითვლება უზრუნველყოფილად, ხოლო **ბანკი** უზრუნველყოფილ კრედიტორად.

3.12 თუ **ბანკის** მიერ მოთხოვნის წარდგენის/გადახდევინების მიქცევის ეტაპისთვის ვერ ხდება უზრუნველყოფის საგნის მოძიება, მიუხედავად მოუძიებლობის მიზეზისა (ქონების გადამალვა, განადგურება, ქონების ჩამორთმევა, ნებისმიერი ადმ. ორგანოს მიერ, ქონების საქართველოს საზღვრის კვეთა და ა.შ) კლიენტი აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს: (ა) კლიენტისგან შესაბამისი ღირებულების მქონე უზრუნველყოფის საგნის წარმოდგენა ან (ბ) **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა და ვალდებულების სრულად დაფარვა კლიენტის ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან.

3.13 ბანკის მიერ ხელშეკრულების ვადამდე ან ცალმხრივად შეწყვეტა. ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ან/და მოთხოვოს კლიენტს კრედიტის თანხის (სრულად ან ნაწილობრივ), ასევე მასთან დაკავშირებული გადასახდელების, ვადაზე ადრე, დაუყოვნებლივ დაფარვა **კანონმდებლობით, გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.14 კრედიტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები. კლიენტისთვის ცნობილია, რომ: (ა) თუ კლიენტის შემოსავლები კრედიტის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაშია, ასეთ შემთხვევაში კლიენტს გააჩნია სავალუტო რისკები შესახებ, რაც გულისხმობს, რომ ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა კრედიტის შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს; (ბ) კლიენტს შეიძლება გაეზარდოს კრედიტზე გადასახდელი თანხები თუ კრედიტი გაცემულია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით; (გ) კლიენტის მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის კრედიტის ძირითადი თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში **ბანკმა** შესაძლოა მიაქციოს გადახდევინება კლიენტის, თავდები პირ(ებ)ის ქონებაზე, ასევე უზრუნველყოფის საშუალებებზე, მათ შორის **ბანკმა** მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა (გ.ა) კლიენტის, თავდები პირ(ებ)ის ნებისმიერი ქონების (მათ შორის, ანგარიშების, ფულადი სახსრების) ასევე უზრუნველყოფის საშუალებების დაყადაღება, შეზღუდვების, აკრძალვების, უფლებრივი ტვირთის გავრცელება; ან/და (გ.ბ) კლიენტის, თავდები პირ(ებ)ის საბანკო ანგარიშებიდან (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშებიდან) ან/და სხვა ანგარიშებიდან ფულადი სახსრების უაქცეპტო წესით ჩამოწერა; (გ.გ) კლიენტის ან/და თავდები პირ(ებ)ის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნა. (გ.დ) მოითხოვოს კლიენტის ან/და თავდები პირ(ებ)ის ქონების იძულებითი მართვა (სეკვესტრი); (გ.ე) კლიენტის ნებისმიერი ქონების ან/და უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ის რეალიზაცია განახორციელოს მოქმედი **კანონმდებლობის** შესაბამისად ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

3.15 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი ცვლილება. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების ვადების აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება თუ ხელშეკრულების ცვლილება: (ა) განპირობებულია ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული და კლიენტის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომით; ან (ბ) ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, რაზედაც მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკი თავისუფლდება ასეთი ცვლილებების შესახებ შეტყობინების ვალდებულებისგან; ან (გ) არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას; ან (დ) განპირობებულია ინდექსის ცვლილებით (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში).

ბანკი/\_\_\_\_\_

კლიენტი/\_\_\_\_\_

3.16 კლიენტი ანიჭებს ბანკს უფლებამოსილებას მიაწოდოს ხელშეკრულების პირობების ცვლილებების, ასევე სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შესახებ ინფორმაცია დაკავშირებული ხელშეკრულების მხარეებს (მათ შორის უზრუნველყოფის საშუალების მესაკუთრეებს, თავდებ პირებს, გარანტორებს და სხვა), ასევე ხელშეკრულების სხვა სოლიდარულ მოვალეებს (თანამსესხებლებს).

3.17 დაკავშირებული ხელშეკრულების მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება. კლიენტი გამოხატავს თანხმობას და ბანკს ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ გადასცეს ხელშეკრულების ნებისმიერ კლიენტს (თუ რამდენიმე კლიენტია), ასევე დაკავშირებული ხელშეკრულების მხარეს (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის და ა.შ ხელშეკრულების მხარეს): (ა) ხელშეკრულება, (ბ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, (გ) გარემოებების შესახებ ინფორმაცია, რაც ბანკის შეხედულებით შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, (გ) ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულების და ასევე შესრულებული ფულადი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის ანგარიშიდან მიღებული ამონაწერის სახით). გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული პირობა არ ზღუდავს ბანკს დაამუშაოს კონფიდენციალური ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური ინფორმაცია) და ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც განსაზღვრულია გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით.

3.18 მონიტორინგი. კლიენტი აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს, ბანკმა კლიენტთან მოახდინოს სატელეფონო კომუნიკაცია ან/და მიავიწიოს კლიენტის საქმიანობის ან/და სხვა შესაბამის ადგილზე ბანკის თანამშრომელი ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი და შეაფასოს, დაასურათოს, შეადგინოს შესაბამისი აქტი საკრედიტო ხაზის მიზნობრიობის შემოწმების და მონიტორინგის, ასევე კრედიტის დაფარვის წყაროს შესწავლის მიზნით და ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო მოცულობით.

#### 4 ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები

4.1 მხარეთა მიერ წინამდებარე საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაზე თანხმობის გამოხატვით (მათ შორის ბანკის მიერ განსაზღვრული დისტანციური არხების, ინტერნეტ ბანკინგის/მობაილ ბანკინგის ან სხვა არხების საშუალებით) ასეთ თანხმობას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა და შესაბამისად დადებულად ითვლება და ძალაში შედის ხელშეკრულება, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) განაცხადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (ბ) გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება; და (დ) ნებისმიერი ცვლილებები ან/და დამატებები, რომელიც დაიდო ან მომავალში დაიდება მხარეთა შორის კრედიტის მოქმედების ფარგლებში

4.2 საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, მასში განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებ(ებ)ის ჩათვლით, წარმოადგენს გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელ ხელშეკრულებას და თუ თავად გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მასზე სრულად ვრცელდება გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება, ტერმინთა განმარტებები, გენერალური საკრედიტო ხაზით სარგებლობის, მხარეთა პასუხისმგებლობის, მხარეთა კომუნიკაციის პირობები და სხვა.

4.3 საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაზე თანხმობის გამოხატვით კლიენტი ადასტურებს, რომ: (ა) ის (კლიენტი) სრულად გაცნობილია და ეთანხმება ხელშეკრულების თავსართში, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში მოცემულ ინფორმაციას, (ბ) ხელშეკრულება ითვლება დადებულად და (გ) მისთვის მისაღებია კრედიტის თანხა, პროცენტი, მოქმედების ვადა, პირგასამტეხლოს, საკომისიოს მოცულობები და სხვა პირობები.

4.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ქართულ ენაზე შედგენილ ვერსიას უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულების სხვა ენაზე შედგენილ ვერსიასთან მიმართებაში. ამასთან, კლიენტისთვის სახელშეკრულებო პირობებისა და ინფორმაციის მიწოდება, ასევე კლიენტთან კომუნიკაცია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განხორციელდება ქართულ ან ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

4.5 წინამდებარე საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნების მესამე პირისთვის დათმობის (გასხვისების) შემთხვევაში, ბანკი აცნობებს კლიენტს წერილობით ან ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტ ბანკით ან მობაილ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინების გზით არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

4.6 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

4.7 ბანკის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის მისამართია: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.

	<b>ბანკი</b>		<b>კლიენტი</b>
	-----		-----

ბანკი/\_\_\_\_\_/

კლიენტი/\_\_\_\_\_/